საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 413

23 05 2019წ.

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტთა შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის მოადგილის, თამარ მახარაშვილის, 2019 წლის 20 მაისის №600026 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, ცენტრის დირექტორის 2019 წლის 15 მაისის №372/ი ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის" მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-5 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ" და „ნ" ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2019 წლის 24 მაისიდან 2019 წლის 07 ივნისის ჩათვლით გამოცხადდეს კონკურსი პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტთა შერჩევის მიზნით.

2. პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებად განისაზღვროს:

2.1. აკადემიური უმაღლესი განათლება და შესაბამის დარგში ბოლო სამი წლის განმავლობაში პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ 1-წლიანი გამოცდილება, ან პროფესიული განათლება და შესაბამის დარგში ბოლო სამი წლის განმავლობაში პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ 1-წლიანი გამოცდილება, ან ბოლო სამი წლის განმავლობაში დარგში პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება.

3. დამატებითი მოთხოვნები: უპირატესობა მიენიჭება კადიდატებს, რომელთაც ექნებათ სამუშაო გამოცდილება შემდეგ მიმართულებებში:

სკოლამდელი აღზრდა, აუდიოვიზუალური ხელოვნება, საშემსრულებლო ხელოვნება (ხელნაკეთობა), ბუღალტრული აღრიცხვა, ფინანსები, საბანკო და სადაზღვევო საქმე, ლოგისტიკა, საოფისე საქმე, ინფორმაციული ტექნოლოგიები, შრომის უსაფრთხოება, ელექტროობა, კონდიცირება, შედუღება და ლითონის დამუშავება, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მომსახურება, სასურსათო პროდუქტების წარმოება, ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა სამკერვალო წარმოება, წყალმომარაგების და წყალანირების სისტემების ექსპლუატაცია, სანტექნიკა, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, მეფუტკრეობა, მევენახეობა, მებაღეობა, მებოსტნეობა, მეთევზეობა, ვეტერინარია, მეღვინეობა, საექთნო საქმე, ფარმაცია, თმისა და სილამაზის მომსახურება, ტურიზმი, სასტუმრო მომსახურება, კულინარია, კონდიტერია, საბაჟო საქმე, ამწის ოპერირება.

4. ექსპერტობის კანდიდატმა უნდა იცოდეს შემდეგი ნორმატიული აქტები:

4.1. „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;

4.2. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის № 131 დადგენილება „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“;

4.3. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის №59/ნ ბრძანება „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის განსაზღვრის თაობაზე“;

4.4. ექსპერტი უნდა იცნობდეს შესაბამის პროფესიულ სტანდარტ(ებ)ს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

5. ექსპერტობის კანდიდატს უნდა ჰქონდეს შემდეგი უნარები:

5.1.კომპიუტერული უნარები;

5.2. გუნდური მუშაობის, ეფექტური ზეპირი და წერითი კომუნიკაციის უნარი;

5.3. მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი.

6. პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის ფუნქციებად განისაზღვროს:

6.1. შეისწავლოს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია;

6.2. დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე, შესაფასებელ სტანდარტთან/სტანდარტებთან მიმართებით ჩამოაყალიბოს შენიშვნები, მოსაზრებები და კითხვები;

6.3. ცენტრის მეშვეობით გამოითხოვოს დამატებითი დოკუმენტები;

6.4. შესწავლილი დოკუმენტაციის განხილვის მიზნით, მონაწილეობა მიიღოს სამუშაო შეხვედრაში;

6.5. შეადგინოს პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის ანგარიში;

6.6.ვიზიტის განხორციელების შემთხვევაში, მონაწილეობა მიიღოს ვიზიტის დღის წესრიგის შედგენაში;

6.7.წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით, შეისწავლოს ყველა საკითხი ანგარიშის შესადგენად, მათ შორის, ჩაატაროს დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუირება, საჭიროების შემთხვევაში გამოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია, მოახდინოს ვიზუალური დათვალიერება და განახორციელოს დღის წესრიგით გაუთვალისწინებელი აქტივობები;

6.8.მოახდინოს იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაციის შესაბამისობის გადამოწმება, არსებულ მდგომარეობასა და იმ სტანდარტებთან, რომელთა დაკმაყო-

ფილება და შესრულება აუცილებელია პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოსაპოვებლად;

6.9.ვიზიტის განხორციელების/დოკუმენტაციის შესწავლის შემდგომ მონაწილეობა მიიღოს შეფასების შედეგების განხილვაში, შეჯამებასა და დასკვნის მომზადებაში;

6.10.მონაწილეობა მიიღოს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაში და საჭიროების შემთხვევაში უპასუხოს დასმულ შეკითხვებს.

7. პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტთა თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობისთვის კანდიდატმა ცენტრის ელექტრონულ ფოსტაზე - jobs@eqe.ge აუცილებლად უნდა გამოაგზავნოს:

ა) ავტობიოგრაფია (CV) ქართულ ენაზე;

ბ) კვალიფიკაციის/განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) კანდიდატის პროფესიული ცოდნის, უნარებისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი (სერტიფიკატი, ცნობა სამუშაო ადგილიდან და სხვ.);

8. პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტთა შესარჩევი კონკურსის ეტაპებად განისაზღვროს:

8.1.ექსპერტთა შერჩევის მიზნით, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შესაბამისი კომისიის შექმნა;

8.2.კონკურსის გამოცხადება;

8.3.კანდიდატის მიერ განაცხადის და თანდართული დოკუმენტების წარმოდგენა;

8.4.წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადარჩევა შესაბამისი მოთხოვნების გათვალისწინებით;

8.5.გასაუბრება;

8.6.ექსპერტთა კორპუსის შემადგენლობაში შეყვანის მიზნით, კომისიის მიერ შერჩეულ კანდიდატთა სიის წარდგენა ცენტრის დირექტორისთვის;

8.7.ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ექსპერტთა შეყვანა ექსპერტთა კორპუსის შემადგენლობაში.

9. კომისიამ თითოეულ კანდიდატთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს განაცხადების წარმოდგენის ვადის დასრულებიდან არაუმეტეს 2 თვის ვადაში.

10.დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების სამმართველოს ვებგვერდის - www.jobs.ge მეშვეობით კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა.

11. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.

12. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საორგანიზაციო სამმართველოს ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

13.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) მისი ოფიციალურად გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დირექტორი გიორგი ვაშაკიძე